

## ხელშეკრულება N

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(ელექტრონული ტენდერი )

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_ 2019 წ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი (მის: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. N4, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204584887), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი დეპარტამენტის დირექტორის სერგო ჯანელიძის სახით და

მიმწოდებელი: \_\_\_\_\_ საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_

მისამართი, ტელეფონი: \_\_\_\_\_ ტელ: \_\_\_\_\_

დირექტორი: \_\_\_\_\_

საბანკო რეკვიზიტები: \_\_\_\_\_ ბანკის კოდი: \_\_\_\_\_ ანგარიში: \_\_\_\_\_

ორივე ერთად აღიარებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ SPA ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ელექტრო ხელის საშრობის შესყიდვა (CPV39712300).

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **00.00 ( ) ლარს**.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

#### 4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი N1-ით განსაზღვრულ ვადებში შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N72;**
- ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
- გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები, მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

#### 4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით;
- ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
- გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

### 5. ხარისხი

5.1. მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართი N1-ში მითითებულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

### 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- 6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და საქონლის ტექნიკურ დათვალიერებას განხორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ქონების მართვისა და ექსპლუატაციის სამმართველოს საკომენდატო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაქარია იოსებაშვილი, ხოლო საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს ამავე დეპარტამენტის სასაწყობო სამსახური.
- 6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი. წუნდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **10 (ათი) დღის** განმავლობაში გამოასწოროს წუნი.
- 6.4. ობიექტური მიზეზით 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წუნის გამოსწორების შეუძლებლობისა და შემსყიდველის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების დროული ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში.
- 6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული), საქონლის თანმხლები აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.
- 6.6. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
- 6.7. ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, საქონლის მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელება.
- 6.8. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

### 7. ანგარიშსწორება

- 7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
  - ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
  - ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღლო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
- 7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების **100%** ავანსის სახით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში**.

### 8. საავანსო საბანკო გარანტია

- 8.1. შემსყიდველის მიერ გადახდილი საავანსო საბანკო გარანტიის თანხის გათავისუფლება განხორციელდება ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.6 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და საავანსო საბანკო გარანტია უბრუნდება მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე. აუთვისებელი თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაუბრუნოს შემსყიდველს შესაბამის სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.
- 8.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო თანხის საბანკო გარანტია შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას შესაბამის ვადებში.

8.3 საავანსო საბანკო გარანტია მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში იმ ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენისას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარეები დაუყოვნებლივ ატყობინებენ ერთმანეთს წერილობით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდები მხარე ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე დროში აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ან/და უხარისხო მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
- 10.2 იმ შემთხვევაში თუ 10.1 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადაჭარბებს 30 კალენდარულ დღეს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
- 10.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
- 10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დადასტურებული ხელმოწერით.
- 11.2 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის წარმოშობისას, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

- 12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
- 12.2 თუ მოლაპარაკებით შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და გამოიყენოს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია. აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.
- 13.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.
- 13.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება მხრეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 20\_\_ წლის ---- ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ დადასტურებულია ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერით/შტამპით.

ვასების ცხრილი დანართი №1

№							
1							
სულ:							

შემსყიდველი

მიმწოდებელი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის  
ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი

სერგო ჯანელიძე